სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/289

4 ოქტომბერი 2019

ქ. თბილისი

სტუ-ის „საერთაშორისო სტუდენტთა რეკრუტირების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 ოქტომბრის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდისა და საერთაშორისო სტუდენტთა მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით, სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის სტრუქტურაში შეიქმნას „საერთაშორისო სტუდენტთა რეკრუტირების ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული ცენტრი და მისი დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ბექა მაისურაძე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**